№ 165 აგვისტო 4, კვირა — 1891 — აგვისტო 4, კვირა № 165

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ.

## ახალი სტამბა

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

ყოველ გვარს სასტამბო საქმეს ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 3 აგვისტოს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ, ქაშუეთის ეკკლესიაში ამ ეკკლესიის დეკანოზის მამა დ. ჭრელაშვილის მიერ, მღვდელ დავითაშვილისა, მონასელიძისა, მაჭარაშვილისა და კრებულის თანადასწრებით, პანაშვიდი იქმნა გარდახდილი განსვენებულის პოეტის თ. მამია გურიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს რამდენიმე განსვენებულის ნაცნობი და პატივისმცემელი დაესწრო.

*** ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ იკორთის ძველის ტაძრის განსაახლებლად კომიტეტი შესდგა ამას წინად. როგორც ეტყობა კომიტეტი კარგად ირჯება და რიგიანად მიჰყავს თავისი საქმე: მცირე ხნის განმავლობაში უკვე 800 მანეთი შეუკრებია ტაძრის განსაახლებლად.

*** მიწად-მზომელთა სასწავლებლის გამგეობა აცხადებს, რომ 1-ლს კლასში შემსვლელთ უნდა დასწერონ თავის ხელით სათხოვარი ამ სასწავლებლის უფროსის სახელობაზედ და მიართვან ამ თთვის 7 ვიდრე 29-მდე ყოველ დღე, დილის 9 სათიდამ 12 საათამდე. სასწავლებელში შესასვლელი ეგზამენი 31 მარიამობის თთვეს არის დანიშნული. წესები და პროგრამა შეიძლება შეიტყოს მსურველმა სასწავლებლის შვეიცარისგან, კონსულის ქუჩაზედ და ან ფოსტით დაიბაროს.

*** ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში შესასვლელი ეგზამენი დაიწყება 26 ამ თთვეს. თხოვნის მიცემა შეიძლება 22 ამ თთვემდე ინსტიტუტის კანცელარიაში. თხოვნასთან უნდა წარდგენილ უნდა იქმნას: წლოვანების მოწმობა, ატესტატი ან მოწმობა იმ სასწავლებლისა, სადაც სწავლა მიუღია, ყოფაქცევის მოწმობა, თუ ოთხს თთვეზედ მეტი გავიდა სასწავლებლიდგან გამოსვლის შემდეგ, და ყვავილის აცრის მოწმობა.

თავისუფალი ადგილი ინსტიტუტში 18-ია.

*** ქალაქს სხვათა შორის იმის იჯარადარიც ჰყავს, რომ თავის დროზედ ქუჩა-მოედნები დაგოს და თავმოყრილი ნაგავი იმ ადგილიდამ გაიტანოს დამტკვარში გადაჰყაროს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ქუჩებსა და მოედნებს დროზედ არა ჰგვიან, ან თუ ჰგვიან—ნაგავს არ ჰკრეფენ და ქარს ისევ გააქვს და გამოაქვს.

მეორე განყოფილების პოლიციის ბოქაულს უცნობებია ამ დღებში გამგეობისთვის, რომ მთაწმინდის მოედანსა და იმის მიდამო ქუჩებში დაგროვებული ნაგავი დიდი ხანია გაუტანელი რჩება და ქარი ჰფანტავს აქედიქთაო. გამგეობამ გამოიძია ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ იჯარადარი არ ასრულებს თავისს პირობას და ეს გარემოება არა ერთხელ შეუნიშნავთ. გამგეობამ იჯარადარს პირობის აუსრულებლობისათვის ჯარიმა გაადახდევინა.

*** 15 ივლისიდამ 23 რიცხვამდე ჩვენს ქალაქში კიდევ გამხდარა ავად: ყვავილით შვიდი კაცი, ამათგან გარდაცვლილა სამი; ხუნაგით—ოთხი კაცი.

*** ჩვენ შევიტყეთ რომ ბ-ნს გუნიას მომავალი 1892 წლისათვის უსათუოდ განუზრახავს თავის საქართველოს კალენდრის დასურათება და უკვე გაუგზავნია პეტერბურგში ამოსაჭრელად სხვა სურათებს შორის, სურათებიც ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეთა, და განსვენებულთა: დიმიტრი ყიფიანისა, მიხეილ ყიფიანისა, დიმიტრი ბაქრაძისა, დავით ერისთავისა, ვახტანგ ორბელიანისა და მამია გურიელისა; ხოლო ცოცხლებისა: თ. ილია ჭავჭავაძისა, თ. აკაკი წერეთელისა და სხვათა.

*** ნიხრის კომისიას პარასკევს, 2 მარიამობისთვეს, კრება ჰქონდა გამგეობის დარბაზში და შემდეგი ნიხრი დააწესა ხორცისა: ცხვრის ხორცი გირვანქა ისევ შვიდი კაპეიკი დარჩა, ძროხის ხორციკი გირვანქა ექვს კაპეიკად გაჰხადეს, სუკი 12 კაპ. ეს ნიხრი შემოღებული იქნება ამ თთვის 5 რიცხვიდამ.

*** უმაღლესად ებოძა პატარა ჯვარი წამებულის წმ. ეკატერინეს ორდენისა უმაღლესის კარის ობერ-ჰოფმარშალის მეუღლეს კნეინა სოფიო ირაკლის ასულს ტრუბეცკისას, თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ასულს.

*** სოფ. მცხეთას: ეს ერთი წელიწადია, რაც ჩვენში გაიმართა წიგნთსაცავი, რომელიც შეიცავს, როგორც ქართულს წიგნებს, აგრეთვე რუსულს. წიგნთ-საცავი შესდგა სხვა-და-სხვათა შემოწირულებისაგან. ბევრმა თანამგრძნობმა შემოიტანა თავიანთი შემწირულება ფულითაც. ფული შესდგა თითქმის ათს თუმანზე მომეტებული. მოთავე ამ საქმისა არის ბ-ნი ბორისოვი. საქმე წიგნთ-სიცავისა ჯერ ხანად კარგა მიდიოდა, მაგრამ ბ-ნმა მოთავემ თანდათან გული აიცრუა თავისს მოვალეობაზე და ჩვენი წიგნთსაცავი დღეს უკიდურესს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. აქაური საზოგადოება უჩივის ბ-ნს ბორისოვს, მეტადრე იმის გამო, რომ ამდენი ხანია ანგარიში არ წარმოუდგენია არც ფულის რაოდენობისა და არც იმისი, თუ რამდენი წიგნია დღეს მისს ხელში, ან რამდენია გატანილი და სხვა. ურიგო არ იქნებოდა, რომ ბ-ნს ბორისოვს დაეკმაყოფილებინა კანონიერი სურვილი საზოგადოებისა...

*** სოფ. სკკი (ოზურგეთის მაზრა) მოსავალი ძლიერ კარგია ჩვენკენ სიმინდისაც და ღომისაც; ყურძენიც წინანდელზედ ნაკლებს არ გამოიღებს. —ავადმყოფობამაც დაიბუდა ჩვენში,

## ფელეტონი

### შავი ფიქრები

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 154)

VIII

ჩავხედავ გულის სიღრმესა,
თვალნი არ ჩაუწვდებიან;
შორს ჰფრინავს, ციდგან ცამდისა,
მხრის წვერნი მიუწვდებიან;
ვერც ვინ დაუდვა საზღვარი,
არც გზანი ეზომებიან.
გძელია იმის გზა-კვალი,
ბნელია იმის წიაღი,
დაწესებული საზღვარი
ერთიც არა აქვს იალი*);
სად მთა უთვლავ ნაკვეთი,
სად კლდეთ უსულო კრიახი!
ათასთ მოებმის საგანთა,
ათასთა სანდომარეთა,
ხან ზღვით შესტრფის და შეჰხარის,
ხმელეთზედ მწოლიარეთა;
ხან ცდომილების ციალსა,
სივრცეში მორიალეთა;
ხან რაღაც ვნებას ეძლევა,
იმედსა შორიალესა!

IX

შევხედავ ემ დიდს მთა-ბარსა,
თვალი არ გაეჰზმანება,
მაღალ მთათ, კლდეთა ჯღრდეებსა,
ცის პირთ რო მიიძაბება,
გრძელს მინდორს მთიდგან მთამდისა,
ზედ ცვარი დაინამება.
შევხედავ, ძმაო, მაგრამ-კი
ვაი ამ შეხედნებასა!
ვხედავდე, თუ-კი არც ერთი
არ არის ჩემსა ნებასა...
რას ვწვდები მერე, რომ ვხედავ
ვარსკვლავის გათხოვებასა;
სულის და ხორცის გაყრასა,
ამ სოფლის დატოვებასა?!
ღამე ბნელდება, მზე ჩადის,
მე ველი გათენებასა;
მთა თოვლით გადილესება,—
მოველი ჩამოდნობასა!
ზოგჯერ რო დევთა სადაროდ
მდინარნი აყვირდებიან,
მაღლა გაირთხმის ღრუბელი,
ცანი ცვრად დაიღვრებიან
და ზღვის ჯურღმულში სალხინოდ
ტალღები შეიყრებიან,
მე შევცქერ გაოცებული,
ველარ მოვსულვარ ცნებასა:
მე არვინ მკითხავს, სულ ყველა
ასრულებს თავისს ნებასა...
მე რაღად მართმენ, არ ვიცი,
ამ დიდს ბუნების მცნებასა?
ბევრჯელ ამ სოფლის გაცნობა
სუსტს ნიჭს არ ემორჩილება,
ფიქრს ვერა ვფიქრობ, გონებას
როგორღაც ეჩოთირება...
ვიღას მივნატრებ, თუ მისი
მე რამე მეცოდინება!

X

ბევრჯელ ცა-ხმელთა კავშირი
სულს მიიზიდავს და გულსა;
ვცდილობ, რამ გამოვარკვიო,
წამლად დავედო დაგულსა.
„მოდით, აქ მოდით!“ ტირილით
მივძახი მგლოვიარეთა,
მაშვრალთა, შეწუხებულთა,
ცრემლების მთოვიარეთა,
ცისაკენ ხელ-აღპყრობილთა,
სიკვდილის მთხოვიარეთა.
„ძმებო ერთად შაყრილთა
ლოცვა ვსთქვათ მაღალ-მაღალი;
ხელი-ხელ ჩაჭიდებულთა
ვეძებოთ ქვეყნის წამალი.
ქვათაც-კი გავუზიაროთ
ბოლმა დიდის ხნის ნამალი!
„მე სულ მცირე ვარ თქვენთაგან,
თავსაც ვდებ არაფრობაში,
არცვის ქიშპობას გაგიწევთ
ზეგარდმო ნიჭთა ფლობაში;
მინდა-კი, ჩემი წვლილიცა
იყოს თქვენს მონაგრობაში.
„მცირე ვარ, მაგრამ ტირილი
მეც ვიცი სხვასთან სადარი,
თვალ-ცრემლის საგუბარები
არა მაქვს ჯერეთ გამხმარი;
არც სასოება წამრთმია,
გული მაქვს ისევ მაგარი!“
მაგრამ ძახილი ძახილად
რჩება, ზვირთს მიაქვს ქარისას,
პასუხად კვნესა მომესმის
ჩვენის მთისა და ბარისა...
ზედ ერთვის გმინვა გულისა,
სევდისგან ნაოხარისა!
თავს ნაცარტუტა დასხმულნი
ჩადიან მოტირალენი,
კბილით ხორც-დაგლეჯილები,
ვიღასიც მემუქარენი,
ჩადიან გულ-დაკოდილნი,
სულს უწყლავთ სიმწუხარენი.
აგერ, სხვა მხარეს მოავე,
გულის საცინრად მდგომელი,
ჩვენის გულიდგან სისხლისა
ობობასავით მწოველი,—
ჰხარობს, რომ ჩვენი ავ-კარგი
ხელში ჩაიგდო ყოველი...
წყეული იყოს, წყეული
სხვისა ჩაყლაპვის მდომელი!

თ. რაზიკაშვილი

*) იალი—ნათელი.

## საქართველო და მისი ისტორიული წარსული

### საქართველოს უკანასკნელი უბედურებანი

(ალა-მაჰმად-ხანი)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 164)

ალა-მაჰმად ხანმა დაიპყრო ტფილისი და იმისი ჯარი ჰსდევნიდა ქართველებს მცხეთამდე, სადაც მტერმა ყოველივე შემუსრა და ქვა-ქვაზე არ დააყენა. მხოლოდ სახელოვანი ტაძარი, ეს დიდებული ძეგლი საქართველოს ისტორიულის ცხოვრებისა, დაცულ იქმნა ნახჩევნის ხანის მეოხებით. „წესი არ არის შეგინება სიწმიდისა და მეფეთა სამარხისაო“, უბრძანა თავისს რაზმს და ტაძარი ხელუხლებელი დარჩა.

ამასობაში ტფილისი, მისი მშვენიერი სასახლეები და ტაძრები ნანგრევებად გარდაიქცა. ამბობენ, რომ ტფილისის შესანიშნავი აბანოები ალა-მაჰმად-ხანმა ჯერხანობით არ დაანგრევინა და კიდეც ჰბანაობდა შიგ იმ იმედით, რომ სენისაგან განვიკურნებიო; მაგრამ, რომ არა არგორა, გაჯავრებულმა ჰბრძანა მათი საძირკვლებამდე შემუსვრა. ტფილისელნი საშინელს ტანჯვას მიეცნენ.

განსაკუთრებით ყვავილმა და მუცელამ.

ჩვენი სოფელი ერკეთის საზოგადოებას შეადგენს, რომელშიაც ხუთასს კომლზედ მეტი მცხოვრები ეყოლება, შვიდამდე ეკკლესია და ერთი სკოლა-კი არ აქვთ. გული გვეწვის, როცა ვკითხულობთ ამბებს, რომ რომელსამე ბევრად უფრო ჩვენისაზე პატარა სოფლის საზოგადოებას სკოლა გაუმართავს, და ჩვენ-კი არა გვეშველა-რა. ამის მოთავეობა, რასაკვირველია, ვის შეუძლიან, თუ არა სულიერ მამებსა და მამასახლისს. ძველმა მამასახლისსმა თვისი სამი წლიწადი უფრო ფულის შოვნას მოანდომა და საზოგადო განათლების საქმეს ვილა დაეძებდა. ეხლანდელი მამასახლისი, მართალია, ბევრს კარგს გვიქადის, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ამას უჩენია თავი სწავლა-განათლების ზრუნვით. საცაა წლიწადი შესრულდება, რაც ამოვირჩიეთ; ეს დრო ცოტა დროა, მაგრამ მაინც შეეძლო ამ დროს განმავლობაშიაც გაეკეთებინა რამე...

*** „კავკაზ“-ს შეუტყვია, რომ ჩვენის რკინის გზის სამართველო ახალს სადგომში აპირებს გადასვლასაო, იმ სახლში, სადაც წინად დედათა ინსტიტუტი იმყოფებოდა და დღეს სათავად-აზნაურო სასწავლებელია.

*** ამ დღეებში უნდა წავიდეს ქალაქიდამ ინჟენერი ს. იავშიჩი, რომელიც რკინის გზის მართველობას გაუგზავნია შუშასა და შემახიადმ გამოსაყვან რკინის გზის შტოების გამოსაკვლევად.

ამ ამბავსგაზ. „ნოვ. ობოზრ“. დასძენს, რომ იმედია, თუ რომ ჭიათურაზედ გზას აკეთებენ, შუშასა და შემახიაზედ გაყვანას ჰფიქრობენ, უთუოდ კახეთსაც არ დაივიწყებენო.

*** „ნოვ. ობოზრ.“-ეს შეუტყვია, რომ კავკასიის ოლქის ინტენდანტად დაუნიშნავთ ინტენდანტის თანაშემწე გენერალ-მაიორი იამპოლსკი.

*** ამ თთვის 2 ქალაქის მკურნალებმა პოლიციის პირველს ნაწილში დაათვალიერეს ტრაქტირები, პურის საცხობები, სავჭმლისა და ხილის დუქნები და გადააყრევინეს 300 ნესვი და 250 საზამთრო.

*** ამავე დღეს, ღამის 11 საათზე, კრამიტის ქუჩაზე, ანასტასია ნაცვალოვის სახლში იოსებ ესილის ძის ტულიაშოვის სადგურში პოლიციელმა აღმოაჩინა საიდუმლო პაპიროსის საკეთებელი ქარხანა. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს, პაპიროსები, თამბაქო და სხვა-და-სხვა სამუშაო იარაღი წაართვეს და დაბეჭდეს.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

ნურას მკითხავ ამ კაცისას საამბობელს, მოსახსენებს,
ის რომ არის—ღმერთმა მოგცეს—გასახელებს, დაგამშვენებს;
ძლდესა დალეწს, ზღვას გააპობს,
თვით ეშმაკსაც გააჭენებს,
ორპირს მახვილს მედგრად იქნევს, ხან მტრებს ჰკოდავს, ხან თვისკენებს.
ლამაზად სწერს, მძვინვარეთ ჰგმობს,
ზარ-დაცემით შეაჩვენებს,
ალმასისა გველის სახედ თავს კუპრცეცხლად მოგაჩვენებს...
ძვირად ნახავ დადგრომილსა, სულ მიდმოებს, არ ისვენებს...
ერთხელ სწერდა თვისს ენაზე, ახლა...
ახლაც ახსოვს ჩვენებს.

---

## ორიოდე სიტყვა თ. მამია გურიელის გარდაცვალების შესახებ.

დღეს ეკკლესიაში ათიოდე ქართველმა უფალს შეავედრა აწ გარდაცვალებულის თვისის პოეტის თ. მამია გურიელის სული, აღფრთოვანებული ზეგარდმო შთაგონებით, და ზეგარდმო შთაგონება ხომ ისეთი ელვაა, რომელიც ყველასათვის არ იელვებს ხოლმე. თ. მამიას სულის მოსახსენებლად შეიყარა ყველა მისი პატივისმცემელი, მაგრამ ეს პატივისცემა-კი თავისის დიდის შთამომავლობითა ͩ გვაროვნობით არ დაუმსახურებია განსვენებულს. მხოლოდ და მარტო იმითი დაიმსახურა, რომ რჩეული იყო სხვათა შორის, ჰექა-ქუხილივით აფეთქებდა ხოლმე ქვეყნის ტკივილით ატკიებულის გულის წყრომა და რისხვა და ზეცით მოწოდებული ხელოვანი იყო იმ გონიერების საუნჯისა, რომელსაც პოეზია ეწოდება და რომელიც, როგორც ჰუგო ამბობს, ერის სიდიადის საწყაოა. ამ ერის სიდიადის გამომეტყველს ძეგლს ამანაც მიაშველა ორიოდე აგური და ასეთის კაცის საფლავი და სახელი-კი წმინდა სალოცავი უნდა იყოს იმ ერისა, რომლის სისხლიც იმას უდგა ძარღვებში და რომლის ენაზედაც იგი აამკვნესარებდა ხოლმე თავისს ქნარს.

დიდად განათლებული გული უნდა იყოს, რომ ერის საერთო ტკივილით მოიწყლოს, ერის საერთო ჭირი და ვარამი აიცრას და არ იხადოს-კი, ვიდრე თვით ერი არ იხდის ამ ჭირს, თან ატაროს პირ-შეუკვრელად ეს ჭრილობა და უტყვი ტანჯვა, უტყვი წამება ერისა მეტყველი ჰქმნას და ენა ჩაუდგას თავისის ნაღველის, თავისის ვარამის სალაღადებლად. ასეთის კაცის მოღვაწეობა,—სულ ერთია, სიტყვით გამოიხატება, თუ საქმით, რადგან საცა სიტყვა არ არის, იქ არც საქმეა მოსალოდნელი და რადგან სიტყვა ყოველთვის წინამორბედი მოციქულია საქმისა,—დროშა უნდა იყოს და გონებაზედ მოსული ერი მხარ და მხარ უნდა მისდევდეს ამ დროშას, რათა სიტყვით სულჩადგმული უსხეულო სიყვარული ქვეყნისა საქმით ხორციელად საქმნელად განაძლიეროს და დიდისა და პატარის გულს შთანერგოს.

ვისაც სამშობლოს სიყვარულით არ უტკივის გული და საერთო ტკივილისათვის თავ-გამოდებული არ არის, ის, ადამიანი-კი არა, მხოლოდ კაცია, ორ-ფეხა სულდგმული, რომელიც მთელს თავისს სიცოცხლეს ჭამასა, ძილსა და მთქნარებას ანდომებს და რომელიც, თუმცა ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი, მაგრამ არაფრით-კი გამოერჩევა ცხოველებში და მეტყველი ენა მხოლოდ პირუტყვულის სურვილისა და საჭიროების გამოსათქმელადა აქვს. რამდენიც ბევრი ადამიანია, იმდენი უფრო მეტი პატივისცემული ჰყავს ყოველს ქვეყნის სიდიადის საწყაოს შემქნელს ხელოვანს, ზეცით არა მარტო ტკბილ ხმებისათვის გამოგზავნილს ამ სოფლად. ყოვლის გონიერის ადამიანის სანატრელი ის უნდა იყოს, რომ მთელი ერი, დიდიდგან პატარამდე, გაიმსჭვალოს პატივისცემით ამ რჩეულთა და სამშობლოს სიყვარულით მშრომელთა მიმართ და ალარავის ეთქმოდეს, როგორც განსვენებული თ. მამია ამბობს თავისს „პოეტსა და ჩვენებაში“, რომ

ნიჭის დიდებულს ნამუშავარსა,
მხრის აღმამაღლებს, დაუვიწყარსა,
ჰქქს, ტალახში სვრის ვიღაცა ბიჭი!
ბიჭი, რომელიც მხოლოდ მუცელსა
სცნობს, სიბნელესა თავს აფარვინებს,
არაფრისათვის არა ჰღვრის ცრემლსა,
თვით ქურდობს, სხვასაც მოაპარვინებს,
ოღონდ სტომაქი თვისი გააძღოს,
ზოგი აცდუნოს, ზოგი გაძარცოს...

ერი ჭეშმარიტად მაშინ დაიწყებს ერობას, მაშინ შეიძლებს ერთობასა და ძმობას, მაშინ შეიქმნება ადამიანთა კრებულად და არა მეტყველ ცხოველების ხროვად, როცა ნიჭის დიდებული ნამუშავარი ყველგან გაგებული იქმნება და როცა ყველა დასდებს ფიცს, ქვეყნისათვის ვიშრომებ, ქვეყნის სიხარულით სახე მეც გამიღიმდება და იმისი მწუხარება მეც გულზედ დაღად და შუბლზედ მწუხარების ღარად დამესობაო, სწორედ ისეთს ფიცს, როგორსაც აწ განსვენებული მგოსანი ათქმევინებს თავისს პოეტს:

ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ესოდენ დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ-ახდილს, . . . . . . .
და წითლად ნალებს მისსა მიწებსა;
ქართველთ გმირების ძვლებით მოკენჭილს
ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა,
მათ სისხლსა წმინდას, უხვებით დაღვრილს,
და მათსა აღმზრდელ მანდილოსნებსა;
ვფიცავ მათსავე განთქმულსა სახელს,
საერთო მტრების შემაშინარსა,
იმათ მკერდსა მხნეს, შიშის უცნობელს,
უცხოდ ნახმარებს ხმალსა და ფარსა;
მამა-პაპათა ჩვენთა საფლავებს,
მამულისათვის თავ-დადებულთა,
ათასის წლობით მტერთან მებრძოლებს,
მუდმივ, დღე და ღამ ამხედრებულთა;
ვფიცავ მეფეთ დასს, თავ-დაკვეთილებს,
ჩანგლის დაგლეჯილთ ნაზ დედოფლებსა,
ვახტანგს, გიორგის, თამარსა კეთილს,
დავითს, ივერის აღმშენებელსა;
და ჩემს ღვთაებას კახაბერს, სხვა კაცს,
რკინის პალოთი საზღვარზე მდგარსა,
ოსმალთ ძალთ მლეწველს, უბადლო მამაცს,
მას ლომსა და ბრძენს შეუპოვარსა;
ვფიცავ ქართველის სულს, ჯან-გაუტეხელს,
ძვირფასსა დროშას, ქრისტეს ჯვრით შემკულს,
მას ჩვენს დამღუპველს, იმასვე დამხსნელს,
ივერიელებს მისებრ წამებულს...

როცა ყველას შეეძლება ასეთი ფიცი და კარგადაც ექმნება ამ ფიცის დიდი მნიშვნელობა შეგნებული, მაშინ ქვეყნის მადიდებელ კაცს პატივისცემა და მოხსენება აღარ სჭირია, რადგან იგი სიცოცხლითვე დაჯილდოებული იქნება, რა-კი თავისს სიტყვებს საქმედ ქცეულს ჰნახავს. მანამდე-კი ასეთის მიცვალებულის პატივის-ცემა ერის გონიერებისა და ადამიანობის გამომხატველია და რაც უფრო ბევრი იქნება, მით უფრო მოახლოვებული უნდა იყოს ის დრო, როცა ჯერ მთელის ერის და შემდეგ მთელის კაცობრიობის გული და მაჯა ერთად დაიწყებს ცემას და „შენ-ჩემიაობის“ ბრძოლას ბოლო მოეღება...

ორ-ანი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფელი ლამისყანა.** (გორის მაზრა). მომეტებული ნაწილი გორის მაზრის გლეხებისა მოკლებულია მიღებას პირველ დაწყებითის სწავლისას, რადგანაც იშვიათად შეჰხვდება კაცი სასწავლებლებს სოფლებში. ამიტომაც განიზრახა შუამავლმა მომრიგებელმა გორის მაზრის პირველის ნაწილისამ თავ. ივანე ელიზბარის-ძემ ერისთავმა, ჩაეგონებინა გლეხებისათვის მისდამი რწმუნებულის ნაწილისა და გაემართვინებინა სასოფლო სასწავლებლები. პირველად მოჰყვა გამართვა სასწავლებელისა სოფელს ლამისყანაში. ბ-ნმა ერისთავმა მიჰმართა ადგილობრივს მემამულეს გორის სა-

---

ტფილელი მიტროპოლიტი სამღვდელოებით შეიკეტა სიონის ტაძარში, მაგრამ სპარსელებმა შეამტვრიეს კარები, დასწვეს კანკელი, მიჰყარ-მოჰყარეს სიწმინდენი, მღვდელნი დახოცეს და თვით მიტროპოლიტი[1]) თავისავე სახლის ბანიდგან გადააგდეს. მთელი ექვსი დღე—11—17 სექტემბრამდე სპარსნი მძვინვარებდნენ: ქალებს აუპატიურებდნენ, ტყვეებსა და ძუძუ მწოვარ ჩჩვილთა ჰკლავდნენ, შუაზე ჰკაფავდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეცადათ სიმახვილე თავის ხმლისა. ამ საერთო აოხრებაში თვით სიწმიდეც-კი არ დაინდეს: ავლაბრის ხიდზედ დაასვენეს ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა და ძალად შეურაცხყოფინებდნენ ქართველებს; ურჩებს-კი მტკვარში აგდებდნენ, ასე რომ მდინარე შეგუბდა დამრჩვალ-დახოცილთა გვამთაგან. ოც-და-ორს ათასზე მეტი ქართველი ტყვედ წაასხეს. ალა-მაჰმად ხანის მეისტორიე ამბობს, რომ მამაცმა სპარსეთის ჯარმა ურწმუნო ქართველებს სწორედ მეორედ მოსვლის საშინელი დღე აჩვენაო.

ამბობენ, რომ ტფილისის აოხრების დროს 50 კაცი, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს, ავიდა მთაწმინდაზე და მამადავითის საფარველს მიეცნენ და გადარჩნენ, როგორც სიკვდილსა, ისე ტყვეობასაო. ტფილისის მაოხრებელი სპარსელები რაღაც უცნაურის გარემოების ძალით ერთხელაც არ ავიდნენ მთაწმინდისაკენ, რომელსაც უსათუოდ უნდა მიეზიდნა გაუმაძღარ სპარსთა ყურადღება. შეიძლება ის ეგონათ, ქართველნი იქ იქნებიან გამაგრებულ-ჩასაფრებულნიო. ასე იყო თუ ისე, წმ. სავანემ-კი დაიფარა და დაიხსნა ყველა, ვინც თავი შეაფარა.

ამბობენ, რომ ალა-მაჰმად ხანის მიერ ტფილისის აოხრების დროს დაიღუპა სახელოვანი საზანდარი—მომღერალი საქართველოსი საათ-ნავაო. ასის წლის წინად ტფილისში საათნავას სახელი განთქმული იყო ყველგან, მეფის სასახლიდგან დაწყებული უბრალო ხელოსნის ქოხამდე. ის ერთი საწყალი სომეხი იყო, ხელობით ფეიქარი, და საზანდრობდა; ჭაბუკობისას თავ-აღებული მომღერალი იყო, მოხუცებისას დაყუდებით მლოცველი, ხოლო უკანასკნელს სიკვდილის ჟამსა—ქრისტეანე და ჯვარით ხელში მოკლული სარწმუნოების მტერთაგან ეკკლესიის დირეზედ. თათრის მეიდანზედ რომ ჩახვალთ, დაინახავთ მშვენიერს მოყვანილს გუმბათს სომხის ეკკლესიისას, რომელსაც ციხისას ეძახიან, რადგან ოდესმე ტფილისის ციხის შიგნიდგან ყოფილა. ამ ეკკლესიის ეზოში, სადაც ეხლა ხშირად იკრიბებიან აშქრები საალებ-მიცემო საქმეებისათვის, 1795 წ. დაფლულ იქმნა სისხლში შესვრილი გვამი ოთხმოცის წლის მოხუცის საათ-ნავასი. „ნუ ეძებთ საფლავის ქვას მისს დაბნელებულს სამარეზეო, ამბობს მოამთხრობი გადმოცემისა; მაგრამ იცოდეთ, რომ მისი სახის მეტყველება და იქნება მისი ხმის ბგერაც აქამომდე მიმოჰქრის შავ-ბნელ აჩრდილივით დიდის ხნის წარსულისა იმ მცირეოდენ ტფილისელ მოხუცთა მეხსიერებაში, რომელთათვისაც ალა-მაჰმად ხანის შემოსევა ჯერ წარსულს არ შეადგენსო“. როცა ტფილისი აიღეს, საათ-ნავა ეკკლესიაში ლოცულობდა და მტრის ფეხის ხმა რომ გაიგონა, ჯვარი აიღო ხელში და მიეგება, უნდოდა კარის დირეზედ შეეყენებინა. ორ-ორი ხმოვანი ლექსი ამოდუღდა თათრულს ენაზედ იმის გულიდგან:

„მე ვერა ვგმობ იესოს,
„ვერ გამოვალ საყდრიდან“.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

ამასობაში ორი ბატალიონი რუსის ჯარისა, კავკასიის ჯარებიდგან გამოგზავნილი გუდოვიჩის მიერ, საჩქაროდ მოდიოდა პოლკოვნიკის სირახნევის წინამძღოლობით ირაკლის საშველად და იმათ მთაზე გადმოსვლის ხმამ იძულებულ ჰყო შაჰი საქართველოდგან გასულიყო მუღანლოს მინდვრებისაკენ. მაგრამ რუსის მხედრობა დუშეთს აღარ გასცილებია და გრაფის ზუბოვის ლაშქრობის შემდეგ დაბრუნდა გეორგიევსკში. ასეთის გმირობით ისახელა თავი გუდოვიჩმა, თუმცა წინად იცოდა ალა-მაჰმად ხანის შემოსევის ამბავი და შეეძლო ადვილად აეცილებინა ირაკლისათვის უბედურება. ასე დაუმტკიცა გუდოვიჩმა მეგობრობა ირაკლის....

საქართველოს აოხრების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი სპარსეთში დაბრუნდა. კარის ხელისუფალნი აიძულებდნენ, ირანის გვირგვინი დაედგა თავსა. შაჰმა ბრძანა სპასალართა შეკრება, გამოვიდა და ხელში გვირგვინით ჰკითხა: გსურთ, რომ ეს გვირგვინი ჩემს თავს ამკობდესო? „გახსოვდეთ-კი, რომ ამასთანავე შრომა მოგემატებათ. მე თავისს დღეში არ ვიკისრებ ამ გვირგვინის ტარებას, უკეთუ ამასთანავე არ მექნება ის უფლებაც, რომელიც არ ჰქონია არც ერთს სპარსეთის მბრძანებელს.“ ყველა დაჰპირდა თავის სიცოცხლის დაუზოგველობას შაჰის უფლების განდიდებისათვის და ალა-მაჰმად-ხანი დაგვირგვინდა. მაგრამ მაინც უარი ჰსთქვა და არ დაიდგა შაჰნადირის ძვირფასი გვირგვინი, რომლის ოთხი ჩელენგი (ფრთა) მოასწავებდა შაჰნადირის მიერ ოთხს დამონავებულს სამეფოს: ავგანისას, ინდოსტანისას, თათრისას და სპარსეთისას. მან დაიდგა თავს მხოლოდ მცირე დიადემა, ძვირფასად შემკული, და შემოირტყა სამეფო ხმალი, რომელიც ინახებოდა მუსულმანთა წმინდანის საფლავზედ, სოფიების სახლის წინა პარია არდაველში. სპარსთა ხელმწიფენი მოვალენი იყვნენ მისულიყვნენ ხოლმე ამ საღმრთო იარაღისათვის. ხმალს დასდებდნენ წმინდანის საფლავზედ და

[1]) ეს მიტროპოლიტი ტფილელი დოსითეოსი იყო, 70 წლისა, (ერობაში დავით). მეგრელი იყო, უწინდელი მოძღვარი დარია დედოფლისა, რომელსაც მოჰყვა თან 1751 წ. გვამი მისი დაიკარგა. მასთან სიონის ეზოში დაჰხოცეს—კანდელაკი იოანე ქართველიშვილი და მღვდელი გრიგოლ; ტყვედ წაიყვანეს მღ. პეტრე და იოსებ (ფალავანდიშვილი) შემდეგ დაიხსნეს და 1 მარტს 1831 წ. გარდაიცვალა.

პ. ცხ.

ოსტატო სასწავლებლის მასწავლებელს კოტე გარაყანიძეს, როგორც გამოცდილს კაცს, რათა მას ჩაეგონებინა ლამისყანელებისთვის და გაემართვინებინა სასწავლებელი.

თუმცა გლეხებმა სიღარიბის გამო თავდაპირველად განაცხადეს უარი, მარამ შემდეგ სწავლის მნიშვნელობის ახსნისა, გამოაცხადეს სურვილი და განაჩენი დაადგინა საერთოდ სკოლის გამართვისა შემდეგ სოფლების საზოგადოებამ: ლამისყანისა, თეზისა და ალაიანისამ, რიცხვით 300 კომლზედ მომეტებულმა. კომლზე სასწავლებელის შესანახად 2 მან. 50 კაპ. იკისრეს წელიწადში. განაჩენი გლეხებისა თავ. ერისთავმა წარადგინა ტფილისის ოლქის სახალხო სასწავლებლების დირექტორთან ბ-ნს დარსკისთან და სთხოვა, რათა იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან ნება რთვისათვის სასწავლებელის გამართვაზე. ბ-ნმა დარსკიმ წარადგინა გლეხების განაჩენი ბ-ნს ტფილისის გუბერნატორთან, რომელმაც დაამტკიცა განაჩენი და მისცა ნება სკოლის გამართვისა. ბ-ნმა დარსკიმ თავის მხრით ეს განკარგულება აცნობა თავ. ერისთავს და სთხოვა, ეცნობებინა: აქვთ თუ არა გლეხებს ლამისყანაში იმისთანა შენობა, საცა შეიძლებოდეს ჯერ-ჯერობით სწავლის დაწყება, და ან როდის დაიწყებენ შენობის აგებას. ამასთანავე მან მიჰმართა კავკასიის სასწავლებლების მზრუნველს და სთხოვა, გვიშუამდგომლე, რომ შენობის ასაგებად ხაზინამ გლეხებს 600—800 მან. აჩუქოსო. ეს თხოვნაც შეწყნარებული იქმნა. წლიური გარდასახადი შეადგენს 750 მან., ამასთანავე 800 მანეთიც რომ ხაზინამ მისცეს, შეადგენს 1550 მან. ამიტომ გარდაწყვიტეს,ააგონ შენობა და, რადგანაც ეს ფული არ იქნება საკმარისი, გლეხებმა აღუთქვეს შემწეობა მასალის მომზადებით, რომელსაც შეუდგებიან მოსავლის შეკრების შემდეგ.

სოფელს ლამისყანაში დიდი ძვირობაა მიწისა, ასე რომ დღიური მიწა (1200 ოთხ კუთხი საჟენი) ღირს 300 მან. და ამ 1550 მან. ძალიან ძნელი იყო ადგილის სყიდვა და შენობის დაწყება. ამის გამო თავ. ერისთავმა მიჰმართა თხოვნით ადგილობრივს შეძლებულს მებატონეს, წინამძღოლს ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობისას თავ. ალექსანდრე ივანისძეს ჯამბაკურიან ორბელიანს და სთხოვა ამ კეთილ საქმისათვის შეწირვა მიწისა. თავ. ორბელიანმა დიდის სიამოვნებით მიიღო თავ. ერისთავის თხოვნა და აცნობა, 22-ს ივლისს მიბრძანდით სოფელს ლამისყანაში და ამოირჩიეთ მიწაო. გლეხების თანადასწრებით სოფლის თავში ამოირჩიეს მიწა, სივრცით 1452 ოთხკუთხი საჟენი ანუ $1^1/_4$ დღიური, შეწირულის მიწის ერთი ნაწილი დაუთმო სასწავლებელის შენობისათვის და მეორე ნაწილი ეკკლესიის ასაგებად.

ამ შეწირულების თაობაზე შუამავალმა მომრიგებელმა მოსამართლემ შეადგინა ოქმი, რომელსაც თავისს დროზედ წარადგენს ბ-ნს დარსკისთან. სულითა და გულით ვუცხადებთ თავ. ორბელიანს მადლობას და მოიმედე ვართ, რომ იგი არ დააკლებს თავისს გულუხვს შემწეობას ამ საქმის დამთავრებისათვის.

თავ. ერისთავს აზრადა აქვს, ამნაირივე სასწავლებელი გამართოს ტყიავში ან ფლავში, რომ მევენახეობა ასწავლონ. რადგანაც ამისთანა სასწავლებელს წელიწადში მოუნდება თითქმის 2000 მან. და გლეხებს-კი ამოდენა ფულის გაღება არ შეუძლიანთ, ამის გამო ეს საქმე ჯერ-ჯერობით არა ხერხდება. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას მიექცია ყურადღება, შემწეობა აღმოეჩინა ღარიბ გლეხებისათვის წელიწადში 600 მან. და მით განეხორციელებინა თავ. ერისთავის აზრი მეღვინეობის სკოლის გამართვისა.

დუდეთელი

---

**ერკეთის საზოგადოება.** (ოზურგეთის მაზრა). გურიაში რომ სკოლები გაიხსნა პირველად, არც ჩვენი საზოგადოება ჩამორჩა სხვებს, და გამართა ერთკლასიანი სკოლა; მაგრამ საზოგადოების სიღარიბისა, გამოუცდელობისა გამო თუ კერძო კაცთა მაცადინეობით ეს სკოლა დაიხურა. მას აქეთ გავიდა კარგა ხანი; ყველაზე უფრო ღარიბმა საზოგადოებამაც თავისის მაცადინეობით სკოლა გაიმართა და თავისს შვილებს სწავლა-განათლების კარი გაუღო. ამ ჩვენს ერკეთის საზოგადოებასაც რამდენიმეჯერ ჰქონდა ყრილობა და ბაასი სკოლის გამართვის თაობაზე. ზოგიერთმა შეგნებულმა კაცმა დაწვრილებით აუხსნა ყრილობას სკოლის მნიშვნელობა, მაგრამ დღემდის სულ ამაოდ რჩება მათი ჩაგონება. პირველ მიზეზად სასოფლო სკოლის გაუმართველობისა საზოგადოებას ისა აქვს, რომ ორს თუ სამს ალაგას ამ საზოგადოებაში საეკკლესიო სამრევლო სკოლაა გამართული.

რამდენად შემცდარია საზოგადოება, როდესაც საეკკლესიო კლასების მქონებელი, უარს ჰყოფს სამინისტრო სკოლას, კარგად იცის ყველამ. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ ცოტა ხანში ისმის აქა-იქ ლაპარაკი სკოლის გახსნაზე; ეტყობა, რომ ზოგიერთნი მაინც მიმხვდარან სასოფლო სკოლის საჭიროებას. ამას წინად მე მქონდა ლაპარაკი ერკეთის საზოგადოების ახალს მამასახლისთან, ბ. პ. თოდრიასთან, რომელიც სულითა და გულით არის მონდომებული, თუ არა ორკლასიანი, თორემ ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა მაინც გამართოს თავისს საზოგადოებაში. ღმერთმა ხელი მოუმართოს ბ. პ. თოდრიას ამ აზრის განსახორციელებლად. ვისურვებთ, მოკლე ხანში მხარის მიმცემნი ამოსჩენოდეს და კეთილად დაებოლოვებინოთ ეს კეთილი განზრახვა.

ს. მამალაძე

## რუსეთი

რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება აპირობს რუსეთის სავაჭრო საქონლის ნიმუშთა მოძრავ გამოფენის გამართვას სპარსეთში. ეს გამოფენა ერთის საალებ-მიცემო ადგილიდგან სხვა ადგილებში წაიღ-წამოიღება. ვაჭრებს შეეძლებათ, მივიდნენ გამოფენაზე და თუ რომელსამე ნიმუშს მოიწონებენ, შეუკვეთონ და რუსეთიდგან დააბარებინონ ის საქონელი. ყველა მექარხნე, რომელთა ნაწარმოებიც-კი შეიძლება სპარსეთში გაიყიდოს, მიწვეულია მოძრავ გამოფენის გამართვაში მონაწილეობის მისაღებად.

— როგორც მთავრობის მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, ამ ჟამად რუსეთში თამბაქოს მოყვანას 730,000 კაცი მისდევს თურმე. ამ გვარად თამბაქოს მოყვანა ერთი თვალ-საჩინო საგანი ყოფილა რუსეთის სასოფლო მეურნეობისა. იმავე ცნობებიდგანა სჩანს, რომ მალორუსიაში შემცირებულა თამბაქოს მოყვანა, მაგრამ სამაგიეროდ, ზოგიერთს შიდა რუსეთის გუბერნიასა და განსაკუთრებით კავკასიაში გაძლიერებულა. აქამდე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მთავრობა აპირობს თამბაქოს მოყვანის დასაკუთრებასაო, მაგრამ ეხლა რუსული გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა მინისტრმა სრულიად დაანება თავი ამ საგანს და რაც რამე საქმე იყო შედგარი მის თაობაზედ, ისიც არხივში ჩააბარაო.

„Нов. Вр.“ იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტმა უბრძანა სამკურნალო გამგეობათ, სასტიკად ადევნეთ თვალყური, რომ კერძო კაცთა აფთიაქებში შესაფერ სწავლა-მიუღებელნი არ მსახურებდნენ აფთიაქში მოვარჯიშეთა სახელითაო.

ამას წინად კურსკში წარმოდგენა გამართეს სულით ავადმყოფთათვის. წარმოდგენაზედ 50 სულით ავადმყოფი კაცი იყო და 37 ქალი. კაცებს წითელი პერანგები ეცვათ, ხოლო ქალებს-კი პირის ფერი კაბები. წარმოადგინეს სულ ორი უპრალო ვოდევილი, მაგრამ დამსწრეთ-კი, როგორც ეტყობოდა, ძლიერ მოეწონათ. ანტრაქტების დროს ავადმყოფებს ხილსა სთავაზობდნენ, ხოლო მამა-კაცებს-კი პაპიროსებსაც აძლევდნენ. ეს წარმოდგენა კურსკის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარის მეთაურობით გაიმართა. ავადმყოფებმა ძლიერ ისიამოვნეს.

## წერილი რედაქციის მიმართ

მსცოვანმა ჩვენმა პოეტმა და წარჩინებულმა მოღვაწემ თავად რ. დ. ერისთავმა თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“. წიგნები უკვე წარიგზავნა დანიშნულებისამებრ. რაფიელის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ბევრი ძვირფასი წიგნი და ხელთნაწერი. უკანასკნელთა შორის შესანიშნავია რექტორ დავით ალექსიძის ავტობიოგრაფია, ჯერ არსად დაბეჭდილი და სრულიად უცნობი ჩვენს ლიტერატურაში. დაბეჭდილ წიგნთა შორის ბევრია დიდის ფასისა და იშვიათად საპოვნელი წიგნი; აგრეთვე მთელი კოლექცია ამ საუკუნის ყველა დრო გამოშვებით გამოცემისა რუსულისა და ქართულისა. როგორც, თითონვე რაფიელმა ბრძანა, მისი ბიბლიოთეკის შედგენა და შევსება დღეს არც 5,000 მანათით შეიძლება. ამ სასიხარულო ამბავს გაცნობებთ და იმედია გაზეთში გამოაცხადებთ საყოველთაო საცნობლად და საყურადღებოდ იმათთვის, რომელთაც ბევრი ძვირფასი ხელნაწერი წიგნი გადმოსცემიათ ჩვენთა მწიგნობარ მამა-პაპათაგან და ამ წიგნების დალპობასა და დასჯავს უფრო არჩევენ, მინამ შემოწირავს „წერა-კითხვის საზოგადოებისთვის“, სადაც ამ გვარს საუნჯეს ფაქიზად ინახვენ და დიდობრივის სიყვარულით თავს ევლებიან.

მ. ჯანაშვილი

სოფ. ქისტაური

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**კაზბეკი.** 3 აგვისტოს, 9 საათზე 15 წუთ. დარიალსა და გულეთის შუა გზა სულ მოუგლეჯია ნიაღვარს. გულეთის ხიდის ბურჯები უვნებელი აღმოჩნდა. თითონ ხიდი-კი ნიაღვარს

---

მთელს ღამეს ევედრებოდნენ, მოწყალე თვალით ყოფილიყო იმ ხმლის მტარებელს მეომარს ხელმწიფეზე. მეორე დილით შაჰი შემოირტყამდა წელზედ და ამხედრდებოდა, რათა დაეცვა შიიტების სარწმუნოებრივი აღსარება. აღა-მაჰმად ხანმა დაუყოვნებლივ გაილაშქარა ხოროსანზე, სადაც ჰბატონობდა ნადირ-მირზა, შვილის-შვილის-შვილი აღა-მაჰმად ხანის მიერ მოძულებულის შაჰნადირისა. უნდა ვსთქვათ, რომ შაჰნადირის სიკვდილს შემდეგ მრავალი მისი ძვირფასი განძეულობა დარჩათ იმისს ნათესავებს, და მათ შორის ხოროსანის ხანის უთვალო მამასაც. აღა-მახმად ხანმა მოსთხოვა ეს ძვირფასი განძეულობა და სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადა ყველა, ვისაც ის განძეულობა აღმოაჩნდებოდა, რადგან, მისის აზრით, სახელმწიფო საკუთრებას შეადგენდა. ეხლაც ხოროსანზე მიმავალს სურდა დაესაჯა ერთი ურჩთაგანი ამ ბრძანებისა და შაჰის ხაზინისათვის დაებრუნებინა მისდა კუთვნილი ნივთეულობა. ნადირ-მირზა გაიქცა და მოხუცს-უთვალო მამას, შაჰროქს დაავალა ქალაქი ჩაებარებინა სპარსეთის მბრძანებლისათვის. შაჰროქი გამოეგება და მორჩილება გამოუცხადა. მაგრამ იგი დიდადა ჰსტანჯეს—აღა-მაჰმადს უნდოდა გაეგო, სად იყო მიმალული ნივთეულობა. შაჰროქი ტანჯვით მოკვდა და თან-და-თან ტანჯული თითო თითოდ ანიშნებდა ნივთეულობას, რომელიც ჰასა და კედლებში დაემალა. როდესაც თავს დაადგეს ცომის გვირგვინი და შუაზედ ადუღებული ტყვია დაასხეს, მაშინ როქმა დაასახელა მშვენიერი ის ბადახში (ლალი), რომელიც ოდესმე გვირგვინში ყოფილიყო და რომლის პოვნასაც ჰმეცადინეობდა შაჰი. შემდეგ აღა-მაჰმადმა უბრძანა მხლებლებს შემუსრვა შაჰნადირის აკლდამისა, შიგნიდამ წმიდა ოქროთი მოოჭვილისა. აკლდამაში ნაპოვნი განძი ხაზინაში შეიტანა, ხოლო შაჰნადირის ძვლები ჩააფლვევინა თავისს თეირანის სასახლის შესავალ კიბის ქვეშ. „როდესაც მე ჩემის ფეხითა ვსთრგუნავ ამ გვამსაო, იტყოდა ხოლმე იგი: წყლულნი ჩემის გულისანი შესამჩნევად აღმისუბუქდებიან.“ ხოროსანში აღა-მაჰმადმა გაიგო რუსთა შემოსევა სპარსეთის საზღვრებში საქართველოს უბედურებით. შაჰის უპირობის გამო გულმოსულმა იმპერატრიცა ეკატერინამ გაუსია ჯარი გრაფის ზუბოვის წინამძღოლობით, რომელმაც უკვე დაიპყრო დარუბანდი, შამახია, ბაქო, ზარდაო (სალიანი) და განჯა, მაგრამ საუბედუროდ იმპერატრიცას სიკვდილმა შეაფერხა ასე მშვენიერად დაწყებული საქმე.

შაჰმა კარგად იცოდა, რა გვარი მტერი ჰყავდა რუსთა იმპერიას და სამერმისო ბრძოლისათვის ისეთს გზას დაადგა, რომელიც უფრო სიკეთეს უქადიდა. შეჰკრიბა თავისი სპასალარნი, გამოუცხადა სახელმწიფოს საზღვრებში რუსების შემოსევის ამბავი და უთხრა: „ჩემი მამაცი ჯარი წავა იმათ დასახვედრად; ჩვენ მივესევით ზარბაზნებ დალაგებულს კედლებს, რაზმს მშვენიერის ქვეითა ჯარისას და ავკაფავთ ასო-ასოდ ჩვენის ძლევამოსილის ხმლითაო.“ სპასალარებმა მოუწონეს გმირული აზრი შაჰსა და აღუთქვეს თავის დაუზოგველობა. როცა ისინი წავიდ-წამოვიდნენ, შაჰმა მოუწოდა პირველს ვეზირს და ჰკითხა:

— გაიგონე ჩემი ნათქვამი?

— გავიგონეო, მოახსენა ვეზირმა.

— მერე შენა გგონია, რომ ისე მოვიქცევი, როგორცა ვსთქვი?

— რასაკვირველია, თუ-კი მბრძანებელი ინებებს.

— ჰაჲი, უთხრა მრისხანებით აღა-მაჰმადმა: დავიჯერო, შევსცდი? დავიჯერო, შენც ისე ბრიყვი ხარ, როგორც სხვები? შენისთანა ჭკვიანმა კაცმა როგორ იფიქრა, რომ ჩემს თავს, იმათ რკინის კედლებს ამოვუყენებ და ჩემს უხეირო ჯარს გავაწყვეტინებ იმათ გაწყობილს ჯარსა? მე უკეთ ვიცი ჩემი საქმე. მისდღეში რუსების ტყვია მე ვერ მომწვდება და რუსები მხოლოდ იმას იყმობენ, რასაც მათი თოფხანის ცეცხლი მისწვდება. ისინი სათვლემავლად ვერ მოიცლიან და ნება-კი აქვთ სიარულისა, საითაც ისურვებენ, მაგრამ ყველგან-კი მე იმათ უდაბნოს მეტს არას დავუტევებ.

შაჰს დუშაში ვერ მოუვიდა და ეს ფიქრი ვერ შეასრულა: რუსის ჯარი უკანვე გაბრუნდა. უეცარმა მათმა გაბრუნებამ დიდად გაახარა აღა-მაჰმად-ხანი და მაშინვე ფირმანი აფრინა საქართველოში—„მთელი მსოფლიო მე უნდა მეყმოსო“.

„რუსებიო“, სწერდა იგი: „ყოველთვის აღებ-მიცემობდნენ და ვაჭრობდნენ, ჰყიდნენ მაუდსა და შალეულობას და არავის უნახავს მისდღეში, რომ მათ შესძლებოდეთ შუბის, ან ხმლის მოხმარება. რადგან ეხლა გაბედეს და შემოვიდნენ ჩვენს საფარველს ქვეშ მყოფს ოლქებში, ამისათვის ჩვენ უმაღლესი ჰაზრი მივასწრაფეთ იმ მხარეს დ მივმართეთ ჩვენი უბედნიერესნი ბავრაყნი მათ დასასჯელად და აღსახოცელად. გაიგეს თუ არა ეს ჩვენი განზრახვა, რუსები გაიქცნენ თავისს ბიწიერებით სავსე ქვეყანაში“.

სისხლის მსმელი შაჰი მაინც არა ფიქრობდა დაუსჯელად დაეტოვებინა რუსები და 1797 წ. მთელი საქართველო ხელახლად ფეხზე დააყენა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ხმამ. საბედნიეროდ, ქარიშხალმა მხოლოდ ყარაბაღზე გადაიარა. მძლავრი მფლობელი სპარსეთისა ვერ ინელებდა უბრალო შუშის ხანის მიერ მიყენებულს შეურაცხებას იმ ხანისა, რომელმაც გაჰბედა და მისი ბატონობა არ აღიარა. უთვალავი სპარსთა ჯარი გაჩნდა არეზის წყალთან და ყარაბაღის აკლება დაიწყო. შუშის ხანმა იბრაიმმა დაანება თავი სახანოს და თავისის სახლეულობითა და რამდენისამე ბეგით გაიქცა. შემდეგ ორი ათასი მხედარი საუკეთესო სპასალართა წინამძღოლობით გამოუყენა იბრაიმს მდევრად; მდევარი გაქცეულთ მდინარე ტერტერის ფონზედ წამოეწია, მარამ ცხარე ომს შემდეგ იბრაიმმა დიდად დაამარცხა სპარსელები და მთებში ავიდა.

პ. ცხვილოელი

(დასასრული იქნება)

მოუგლეჯია და დაუმსხვრევია. დარიალში კლდე ჩამონგრეულა და მდინარე თერგი დროებით გაუჩერებია. მდინარე გულეთკას დიდ-ძალი ქვა მოუტანია დარიალის ხეობაში. გულეთის „კარაულკა“, მისი ღობე, აგრეთვე ჩხერის ხიდი და მის ზემოდ სიმაგრე ნიაღვარს სულ მოუტაცნია. გულეთის ზემოდ ხიდი ქვებს ქვეშ მოქცეულა; დარიალის გზის მუხლი ნიაღვარს მოუგლეჯია და ხიდის მარჯვენა ბურჯი ჩაუნგრევია. დროებითი ორი ახალი ხიდი, რომელიც მთავრობას ორი ათას თუმნამდე დაუჯდება მელხოტზე და მდინარე დარგკონზე, გაკეთდება. ტელეგრაფის ერთის მავთულის გაბმის იმედი აქვთ ამ ოთხს დღეში ბალთისა და ლარსის შუა. ლარსიდამ ყაზბეგამდე მუშაობა ყოვლად შეუძლებელია, მინამ ბილიკს არ გააკეთებენ. ნიაღვარს სულ ასამდე ტელეგრაფის ბოძი მოუტაცნია.

2 აგვისტო

**პეტერბურგი.** 30 ივლისს ურალსკში, მემკვიდრე ცესარევიჩის თანადასწრებით იდღესასწაულეს 300 წ. იუბილეი ურალის ყაზახთა ჯარის არსებობისა. სადღესასწაულო წირვის შემდეგ აღლუმი იყო, რომლის დროსაც აკურთხეს ახლად ბოძებული დროშები. დროშები მისმა უმაღლესობამ ჩააბარა პოლკების კომანდირებს. შემდეგ უფროსმა ატამანმა წაიკითხა უმაღლესი სიგელი ჯარისადმი. მერე აკურთხეს საძირკველი ახალის ტაძრისა და შემდეგ მისმა უმაღლესობამ სადილი გამართა წარჩინებულთათვის; მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე აფიცრები და ყაზახები, სულ 500 კაცი. მემკვიდრე ცესარევიჩს ყველგან დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ. მისი უმაღლესობა ურალსკიდამ დღეს დილით მიემგზავრება.

რკინის გზათა დეპარტამენტმა უბრძანა რკინის გზათა გამგეობათ, საკვები ან სათესლე გასაგზავნი ჰინახული ყველაზე ადრე გაგზავნეთ ხოლმე დანიშნულს ადგილს და ყოველი ღონე იღონეთ, რომ არსად არ შეაჩერონო.

**პარიჟი.** დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე დღეს წავიდა პარიჟიდგან ვიშში. სადგურზე მისს უმაღლესობას 2000 კაცი მიეგება. მონტარუსისა და ნევერის სადგურებზე დიდი ხალხი დაუხვდა მისს უმაღლესობას აღტაცებულის ჟრიამულით.

**ნიუ-იორკი.** ლონგ-ეილანდში 800 კაცით სასეირნოდ გაგზავნილს გემს უეცრად ამოვარდნილმა ქარმა ზედა პირი დაუმსხვრია და ქვეშ მრავალი ხალხი მოაყოლა. მათგან 14 მოკვდა და 30 მძიმედ არის დაშავებული.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 61 | 7, 65 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | 153 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 228¾ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 213 | — „ | 211¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდე მიდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

## წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსელიშვილის სასლებში. ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—17)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკინასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქვე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი,** ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | „ | 3 |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

## სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა

და ვღებავ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშს, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვღებავ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—6) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

### საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მალა არ აკარგებს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—18)

## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა სასნგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—7)

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

## დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია.

(36—86—9)

Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ხაკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე